

სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის

განხორციელების წესი

1. ტერმინთა განმარტება

- 1.1 **ცენტრი** - არასამაწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი აგროსერვის ცენტრი;
- 1.2 **პროგრამის პოტენციური ბენეფიციარი** - საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი, საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელთანაც შესაძლებელია გაფორმდეს დაფინანსების ხელშეკრულება;
- 1.3 **პროგრამის ბენეფიციარი** - საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელთანაც გაფორმდება თანადაფინანსების ხელშეკრულება;
- 1.4 **ახალგაზრდა მეწარმე** - „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმე, იურიდიული პირი, რომელსაც ყავს ერთი პარტნიორი და მესაკუთრე, რომელთა ასაკი ცენტრში განაცხადის წარდგენის მომენტისათვის შეადგენს 18-დან 35 წლის ჩათვლით მამაკაცების შემთხვევაში, ხოლო 18-დან 40 წლის ჩათვლით ქალების შემთხვევაში და რომელთანაც გაფორმებულია თანადაფინანსების ხელშეკრულება;
- 1.5 **ხელშეკრულება** - ცენტრსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარსა და ცენტრს შორის უფლება-მოვალეობებს.
- 1.6 **პროგრამა** - სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა;
- 1.7 **ახალი ბიზნესი** - სამეწარმეო საქმიანობა, რომელსაც იწყებს პირი და განაცხადის წარდგენის მომენტისთვის არ გააჩნია მიმდინარე ბიზნესი;
- 1.8 **კომისია** - პროგრამის ფარგლებში პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი განაცხადის განსაზღვრული ქულათა სისტემის შესაბამისად შეფასების განხორციელებისა და პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე თანადაფინანსების თანხის წინასწარ გადახდის განსაზღვრის მიზნით, ცენტრის დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია;
- 1.9 **განაცხადი** - წერილობითი დოკუმენტი, რომელიც დეტალურად აღწერს მიმდინარე მდგომარეობას, ბიზნეს იდეას, მიზნებს და ამ მიზნების მიღწევისთვის აუცილებელ ქმედებებს;
- 1.10 **განაცხადზე თანდართული დოკუმენტაცია** - პოტენციური ბენეფიციარის მიერ განაცხადზე თანდართული წინამდებარე წესით განსაზღვრული დოკუმენტები;
- 1.11 **დაფინანსება** - ცენტრის მიერ პროგრამის ფარგლებში გადახდილი მიზნობრივი თანხები განაცხადში წარმოდგენილი საინვესტიციო ღირებულების არაუმეტეს 70%-სა, არაუმეტეს 100 000 (ასიათასი) ლარი;
- 1.12 **ბენეფიციარის თანამონაწილეობა** - ბენეფიციარის მიერ განაცხადის საინვესტიციო ღირებულების არანაკლებ 30%-ის გადახდა. იმ შემთხვევაში თუ ცენტრის დაფინანსება აღემატება 100 000 (ასიათასი) ლარს ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხა გაიზრდება საინვესტიციო ღირებულების პროპორციულად;
- 1.13 **დასკვნა** - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ან/და სსიპ „აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ აკრედიტირებული პირების ან/და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა

სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა

განაცხადში წარმოდგენილი თანხების საქონლის/მომსახურების/სამუშაოების საბაზრო ფასებთან შესაბამისობის, ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულების და სამშენებლო-სადარჯთაღრიცხვო ფასების ადეკვატურობის შესაბამისობის შესახებ;

- 1.14 **საინვესტიციო ღირებულება** - პოტენციური ბენეფიციარის/ბენეფიციარის განაცხადით გათვალისწინებული თანხის საერთო ჯამური ღირებულება საქართველოში მოქმედი გადასახადების ჩათვლით, რაც მოიცავს ცენტრის თანადაფინანსებას და ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხას;
- 1.15 **პროგრამის განხორციელების ეტაპები** - ცენტრში განაცხადის წარდგენა, განაცხადის ტექნიკური ჯგუფის მიერ შემოწმება, განაცხადის განხილვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში (შემდგომში სამინისტრო), განაცხადის განხილვა კომისიის მიერ, ხელშეკრულების გაფორმება, თანამონაწილეობის არანაკლებ 30%-ის გადახდა, დაფინანსების არაუმეტეს 70%-ის მიღება, მონიტორინგი;
- 1.16 **პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი** - პროგრამა განხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მუნიციპალიტეტში, გარდა ქალაქ ქობულეთისა და ქალაქ ბათუმის ტერიტორიისა (დაფინანსების მიზნებისთვის პროგრამა განხორციელდება ქალაქ ბათუმის შემოერთებულ ტერიტორიაზე და მუნიციპალიტეტების დაბებში);
- 1.17 **ტექნიკური ჯგუფი** - ცენტრის მიერ პროგრამის ფარგლებში შექმნილი ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს პოტენციური ბენეფიციარის მიერ შემოტანილი განაცხადის შესაბამისობის დადგენას წინამდებარე წესის მოთხოვნებთან, ადგენს განაცხადზე ხარვეზს, ორგანიზებას უწევს კომისიის სხდომების ჩატარებას, გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ უზრუნველყოფს რისკების შეფასებას და ახორციელებს ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს.

2. ზოგადი დებულებები

- 2.1 ეს წესი აწესრიგებს ცენტრის მიერ დაფინანსების გაცემის პირობებს და პროცედურებს;
- 2.2 პროგრამა განკუთვნილია საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე იურიდიული/ფიზიკური პირებისთვის, რომელთაც სურთ ბიზნეს იდეის განხორციელება;
- 2.3 სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელია პირველად წარმოებასთან ერთად განვითარდეს ადგილობრივი წარმოება. მნიშვნელოვანია სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით პროექტების თანადაფინანსება. პოტენციური ბენეფიციარის მიერ ინიცირებული განაცხადის თანადაფინანსება მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით;
- 2.4 დაფინანსების ადმინისტრირებას, დასაფინანსებელი პროექტების შერჩევას და დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს ახორციელებს ცენტრი/სამინისტრო.
- 2.5 პროექტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი.
- 2.6 პროგრამის დაფინანსების მიზნებისთვის სრული ბიუჯეტი შეადგენს **942 200 ლარს**.

3. პროგრამის მიზნები

3.1 პროგრამის მიზნებია:

- ✓ გეოგრაფიული პრინციპის გათვალისწინებით კონკრეტული დარგების განვითარება;
- ✓ ადგილობრივი წარმოების განვითარება;
- ✓ სტაბილური სამუშაო ადგილების შექმნა;
- ✓ სამეწარმეო საქმიანობის განვითარება;
- ✓ ეკონომიკურ საქმიანობაში ქალთა ჩართულობის ხელშეწყობა;
- ✓ ეკონომიკურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა;

სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა

- ✓ სოფლად არსებული რესურსის მიზნობრივი გამოყენების ხელშეწყობა;
- ✓ სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ღირებულებათა ჯაჭვის გაძლიერებით;
- ✓ სოფლად გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება და კლიმატის ცვლილებების შერბილების ღონისძიებების ხელშეწყობა.

4. პროგრამის ამოცანები

- 4.1** პროგრამის ამოცანას წარმოადგენს მუნიციპალიტეტებში ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, უმუშევრობის ღონის და სიღარიბის შემცირება, მოსახლეობისთვის ფინანსური დახმარების გაწევის გზით.

5. პროგრამის პრიორიტეტები

5.1 პროგრამის პრიორიტეტებია:

- ✓ ინოვაციური პროექტები;
- ✓ ახალგაზრდა მეწარმეების მიერ წარმოდგენილი პროექტები;
- ✓ ქალების მიერ წარმოდგენილი პროექტები;
- ✓ სოფლად გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება და კლიმატის ცვლილებების შერბილების ღონისძიებების ხელშეწყობით გათვალისწინებული პროექტები;
- ✓ ენერგოეფექტური და განახლებადი ენერჯიების გამოყენების პროექტები.

6. პროგრამის პირობები

- 6.1** პროგრამა ითვალისწინებს როგორც არსებული ბიზნესის გაფართოება/მოდერნიზებას ასევე ახალი ბიზნესის („start-up“) დასაწყებად ბენეფიციარებისთვის ფინანსური დახმარების გაწევას.
- 6.2** პოტენციურ ბენეფიციარს პროგრამაში ჩართვის მიზნით ცენტრში მხოლოდ ერთი განაცხადის წარდგენის უფლება აქვს;
- 6.3** პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი განაცხადის დაშვება მოხდება ოთხი კრიტერიუმის გათვალისწინებით:
- ✓ პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი
 - ✓ პოტენციური ბენეფიციარის შერჩევის კრიტერიუმებთან შესაბამისობა;
 - ✓ პროექტების დასაშვებობა;
 - ✓ ხარჯების მიზნობრიობის ადეკვატურობა/შესაბამისობა.

7. პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსება

7.1 პროგრამა არ ითვალისწინებს შემდეგი ბიზნეს იდეების დაფინანსებას:

- ✓ სამხედრო, ბირთვული და სახიფათო ნივთიერებების წარმოებას;
- ✓ სათამაშო ბიზნესს და აზარტულ თამაშებს;
- ✓ საფინანსო მომსახურებას (მათ შორის სალომბარდო);
- ✓ საქველმოქმედო საქმიანობას;
- ✓ თამბაქოს წარმოება.
- ✓ საიუველირო ნაწარმის დამზადება (გარდა მინანქარის ნაკეთობის დამზადებისა);
- ✓ რესტორნის/კაფე-ბარის მოწყობა;
- ✓ დეველოპერული საქმიანობა (მათ შორის პროგრამული საქმიანობა, Software დეველოპმენტი გარდა სოფლის მეურნეობის მიმართულებისა);
- ✓ ელექტრონული ბიზნესი (გარდა სოფლის მეურნეობის მიმართულების განვითარებისა);
- ✓ სატრანსპორტო მომსახურება;
- ✓ სამშენებლო საქმიანობა (გარდა თევზის მეურნეობის მოწყობისა, მეფრინველეობისა და მეცხოველეობის ფერმის მშენებლობისა);
- ✓ ჭაბურღილის მოწყობა;

სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა

- ✓ საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ან/და რემონტი;
 - ✓ სათბურის მოწყობა;
 - ✓ მრავალწლიანი ბაღების გაშენება;
 - ✓ ერთწლიანი კულტურების პირველადი წარმოება;
 - ✓ მეფუტკრეობა (ფუტკრის ოჯახი, ამანათ-ნაყარი, სკები);
 - ✓ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის/ფრინველის შეძენა.
- 7.2** პროგრამა არ ითვალისწინებს ისეთი თევზის მეურნეობის მშენებლობას/მოწყობას, რომლის აუზებისთვის ფართობი ნაკლებია 400 კვ.მ-ზე;
- 7.3** პროგრამა არ ითვალისწინებს ისეთი მეცხოველეობის ფერმის მშენებლობას. რომელიც არ არის გათვლილი 20-ზე და მეტ პირუტყვზე;
- 7.4** პროგრამა არ ითვალისწინებს ისეთი მეფრინველეობის ფერმის მშენებლობას, რომელიც არ არის გათვლილი 3 000-ზე და მეტ ფრთა ფრინველზე;
- 7.5** პროგრამა არ ითვალისწინებს ისეთი მეფრინველეობის/მეცხოველეობის ფერმების მშენებლობას, რომელიც არ არის აშენებული თანამედროვე ტექნოლოგიით, კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობებისა და ნებართვების საფუძველზე;
- 7.6** პროგრამა არ ითვალისწინებს ისეთი იურიდიული პირების თანადაფინანსებას, რომლებშიც პირდაპირ ან არაპირდაპირ სახელმწიფო ფლობს წილს, პაის ან აქციებს;
- 7.7** პოტენციური ბენეფიციარი ვერ მიიღებს პროგრამით გათვალისწინებულ თანადაფინანსებას, თუ ბენეფიციარი ან მისი დამფუძნებელი/აქციონერი/მეპაიე ფლობს წილს/აქციას/პაის პროგრამის ფარგლებში მისთვის საქართველოში რეგისტრირებულ საქონლის/მომსახურების მიმწოდებელ/შემსრულებელ კომპანიაში.

8. პროგრამით გათვალისწინებული ხარჯები

8.1 პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ ძირითადი საშუალების შესყიდვა/შექმნასთან დაკავშირებული ხარჯების თანადაფინანსებას. მიზნობრივ ხარჯებად შეიძლება ჩაითვალოს ის ხარჯები, რომელიც ყველა ქვემოთ მითითებულ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:

- ✓ ხარჯი გაწეულია დამტკიცებული პროექტის ბიუჯეტის შესაბამისად;
- ✓ გაწეული და გადახდილია პროგრამის განხორციელების პერიოდში;
- ✓ შეესაბამება საგადასახადო კანონმდებლობას.

8.2 პროგრამა არ ითვალისწინებს შემდეგი ხარჯების დაფინანსებას:

- ✓ ნებისმიერი მხარისათვის გადასახდელი პროცენტი ან ვალი;
- ✓ კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული დანაკარგი, მოსაკრებელი, ჯარიმა, საურავი და პირგასამტეხლო;
- ✓ დასაქმებულზე გაცემული ხელფასი;
- ✓ ნებისმიერი ხარჯი, რომელიც უკავშირდება საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს, გადაშენების პირას მყოფი სახეობების განადგურებას, ყალბ და პირატულ საქონელს;
- ✓ ადამიანური რესურსის სამსახურეობრივ მივლინებებთან დაკავშირებული ხარჯები;
- ✓ საწარმოს წილების/აქციების შეძენა;
- ✓ სატრანსპორტო საშუალების შეძენა (გარდა სპეც. ავტომანქანებისა);
- ✓ პროექტირება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ✓ უძრავი ქონების (მათ შორის მიწის) შესყიდვა;
- ✓ დიზაინერული მომსახურება;
- ✓ დაზღვევა, მივლინება, ტრენინგი, მარკეტინგი;

სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა

- ✓ საგანგაშო და ვიდეო-აუდიო სისტემები (გარდა ხანძარ საწინააღმდეგო სისტემებისა);
- ✓ სერტიფიცირება და კონსულტირება;
- ✓ საკრედიტო და სხვა დავალიანების დაფარვა;
- ✓ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის შეძენა (გარდა პროგრამის მიზნებისთვის საწარმოსთვის წარმოების პროცესში საჭირო ტექნიკა);

9. პოტენციური ბენეფიციარის შერჩევის კრიტერიუმები

9.1 პროგრამაში ჩართვის მიზნით პოტენციური ბენეფიციარი, რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია წარმოებასთან:

- ✓ წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირს, საქართველოში რეგისტრირებულ მეწარმე ფიზიკურ ან იურიდიულ პირს;
- ✓ პროექტის განსახორციელებლად შერჩეული უძრავი ქონება აქვს საკუთრებაში ან/და იჯარით მიღებული აქვს მიწის ნაკვეთი (იჯარის დარჩენილი პერიოდი ხელშეკრულების გაფორმების დღისთვის უნდა შეადგენდეს არანაკლებ 5 წელს და იჯარის ხელშეკრულება რეგისტრირებული უნდა იყოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“);
- ✓ უძრავ ქონებას, არ ადევს ყადაღა ან/და იპოთეკა (დასაშვებია მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკების/მიკროსაფინანსო ორგანიზაციების იპოთეკა);
- ✓ არ არის მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებული;
- ✓ იმ შემთხვევაში, თუ არის ცენტრის მიერ განხორციელებული რომელიმე პროექტის/პროგრამის ბენეფიციარი, მას არ უნდა ჰქონდეს პროექტის/პროგრამის პირობები დარღვეული.

9.2 პოტენციური ბენეფიციარი, რომლის საქმიანობაც დაკავშირებული არ არის წარმოებასთან:

- ✓ წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირს, საქართველოში რეგისტრირებულ მეწარმე ფიზიკურ ან იურიდიულ პირს;
- ✓ არ არის მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებული.
- ✓ იმ შემთხვევაში, თუ არის ცენტრის მიერ განხორციელებული რომელიმე პროექტის/პროგრამის/ ბენეფიციარი, მას არ უნდა ჰქონდეს პროექტის/პროგრამის/ პირობები დარღვეული.

10. დაფინანსების პირობები

- 10.1 ცენტრის თანადაფინანსება შეადგენს პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარდგენილ განაცხადში განაცხადის საინვესტიციო ღირებულების **70%**, მაგრამ არაუმეტეს **100,000 ლარისა**.
- 10.2 ცენტრის დაფინანსება შესაძლოა შეადგენდეს 70%-ზე ნაკლებს იმ შემთხვევაში, თუ განაცხადის საინვესტიციო ღირებულება აღემატება **100 000 (ასი -ათასი) ლარს** ან/და შეიცვალა დაფინანსების ხელშეკრულების გაფორმების თარიღის შემდგომ.
- 10.3 ბენეფიციარის თანამონაწილეობად ითვლება, მხოლოდ ბენეფიციარსა და ცენტრს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად საინვესტიციო ღირებულების 30% თანხის დახარჯვა, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი დოკუმენტაციით. ბენეფიციარს თანამონაწილეობად არ ჩაეთვლება ხელშეკრულების გაფორმებამდე განხორციელებულ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები;
- 10.4 წინამდებარე წესის 10.2 პუნქტით გასაზღვრული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხა გაიზრდება საინვესტიციო ღირებულების პროპორციულად;
- 10.5 ბენეფიციარის მიერ წარდგენილი პროექტის საინვესტიციო ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ **5000 (ხუთი ათას) ლარს**;

- 10.6** პოტენციური ბენეფიციარი ვალდებულია განაცხადის შემოტანის დროს წარმოადგინოს საინვესტიციო ღირებულების საქონლის/მომსახურების/სამუშაოების საბაზრო ფასებთან ადეკვატურობის შესახებ სსიპ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა;
- 10.7** ხელშეკრულების დადების შემდეგ ცენტრი დაფინანსებას გაცემს, მხოლოდ ბენეფიციარის მიერ თანამონაწილეობის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში;
- 10.8** შესაძლებელია ცენტრის მიერ დაფინანსების გაცემა განხორციელდეს ბენეფიციარის მიერ თანამონაწილეობის თანხის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტის/დასკვნის წარმოდგენამდე, კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე;
- 10.9** პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ბიზნესის ადმინისტრირებისთვის საჭირო ინვენტარის და/ან ბიზნეს ადმინისტრირებისთვის საჭირო მშენებლობის მიმართულებით დაგეგმილი ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს განცხადის ჯამური ღირებულების 5%-ს. ამასთან, ცენტრის თანადაფინანსების თანხა არ მოხმარდება ადმინისტრირებისათვის საჭირო ინვენტარის დაფინანსებას;
- 10.10** წარდგენილი განაცხადის საბრუნავი საშუალებების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს წარმოდგენილი პროექტის ჯამური ღირებულების 10%-ს, რომლის ხარჯვა უნდა დასტურდებოდეს სსიპ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის თანადაფინანსების სახსრებით დასაფინანსებელი საქონლის/მომსახურების/სამუშაოების საბაზრო ფასებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნით. ცენტრის თანადაფინანსების თანხა არ მოხმარდება საბრუნავი საშუალებების დაფინანსებას;
- 10.11** ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოადგენს მხოლოდ ფულადი სახსრები, ამასთან, არ ჩაითვლება განაცხადის დაფინანსება, თუ პოტენციური ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო/დონორი (ადგილობრივი ან უცხოური ორგანიზაცია) პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიღებული თანადაფინანსება/გრანტი. გარდა წინამდებარე წესის 10.12/10.13 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- 10.12** პოტენციურ ბენეფიციარს შეუძლია მოიძიოს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კერძო ორგანიზაციებიდან დაფინანსება (აღნიშნული არ გულისხმობს სახელმწიფო/დონორის ადგილობრივი ან უცხოური ორგანიზაციების მიერ პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიღებული თანადაფინანსება/გრანტს.), რომლის რაოდენობაც არ უნდა აღემატებოდეს ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხის 20%-ს);
- 10.13** პოტენციური ბენეფიციარის **(ახალგაზრდა მეწარმე და ქალი მეწარმე, ენერგოეფექტური და განახლებადი ენერჯების გამოყენების პროექტების თანამონაწილეობის წყაროს შესაძლებელია წარმოადგენდეს სახელმწიფო/დონორის (ადგილობრივი ან უცხოური ორგანიზაცია) პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიღებული თანადაფინანსება/გრანტი (სახელმწიფო/დონორი (ადგილობრივი ან უცხოური ორგანიზაცია) პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიღებული დაფინანსება. რაც არ უნდა აღემატებოდეს თანამონაწილეობის თანხის 20%-ს);**

11. პროგრამის განხორციელების პირობები

11.1 პროგრამაში მონაწილეობისას პოტენციური ბენეფიციარი გაივლის შემდეგ ეტაპებს:

- ✓ ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრში განაცხადის წარდგენა;
- ✓ განაცხადის ტექნიკური ჯგუფის მიერ შემოწმება;
- ✓ განაცხადის განხილვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში;
- ✓ განაცხადის განხილვა კომისიის მიერ;
- ✓ ხელშეკრულების გაფორმება;

სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა

- ✓ თანამონაწილეობის თანხის გადახდა;
- ✓ დაფინანსების მიღება;
- ✓ მონიტორინგი.

11.2 პროგრამის ფარგლებში შექმნილი კომისიის წევრების შემადგენლობას ამტკიცებს ცენტრის დირექტორი.

12. განაცხადის შეტანის ეტაპები

12.1 პოტენციური ბენეფიციარი იურიდიული პირების განაცხადს თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ✓ დირექტორის/კოოპერატივის თავმჯდომარის პირადობის მოწმობის პასპორტის ასლი;
- ✓ ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირების რეესტრიდან;
- ✓ უძრავი ქონების საკუთრებაში არსებობის ან იჯარის დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა, იჯარის დარჩენილი პერიოდი ხელშეკრულების გაფორმების დღისთვის უნდა შეადგენდეს არანაკლებ 5 წელს და იჯარის ხელშეკრულება რეგისტრირებული უნდა იყოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“); (წარმოების, ფერმების და თევზის მეურნეობების მოწყობის შემთხვევაში);
- ✓ საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკების/მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში სესხის არსებობის შემთხვევაში სესხის გამცემი სუბიექტის მიერ გაცემული ცნობა ბოლო ერთი წლის განმავლობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ.
- ✓ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ გაცემული იურიდიული პირის წესდების ასლი;
- ✓ ნოტარიულად დამოწმებული დამფუძნებლების კრების ოქმი განაცხადის დაფინანსების ვალდებულებების აღების თაობაზე (დამფუძნებლების კრების ოქმის წარმოდგენა არ არის საჭირო თუ წესდებით დირექტორს მინიჭებული აქვს შესაბამისი ვალდებულებების აღების უფლებამოსილება);
- ✓ საბანკო რეკვიზიტები;
- ✓ ინვოისი ან/და ხელშეკრულება საქონლის/ შესყიდვის შესახებ;
- ✓ სსიპ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა თანადაფინანსების სახსრებით დასაფინანსებელი საქონლის/მომსახურების/სამუშაოების საბაზრო ფასებთან შესაბამისობის შესახებ;
- ✓ ცნობა მოვალეთა რეესტრიდან;
- ✓ სხვა დოკუმენტაცია ცენტრის მოთხოვნის შემთხვევაში;
- ✓ სამშენებლო სამუშაოების შემთხვევაში, დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:
- ✓ მშენებლობის ნებართვა (მხოლოდ მიმდინარე მშენებლობაზე);
- ✓ მშენებლობისა და სამუშაოების განხორციელების ვადაში გაწერილ ხარჯების გეგმას;
- ✓ თევზის მეურნეობის, მეცხოველეობის/მეფრინველობის ფერმის მოწყობის შემთხვევაში შესაბამისი დარგის სპეციალისტის რეკომენდაცია, ობიექტის მოქმედ ნორმებთან და წესებთან შესაბამისობაზე.

12.2 პოტენციური ბენეფიციარი ფიზიკური პირების განაცხადს თან უნდა ერთვოდეს:

- ✓ განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი;

სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა

- ✓ უძრავი ქონების საკუთრებაში არსებობის ან იჯარის დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა, იჯარის დარჩენილი პერიოდი ხელშეკრულების გაფორმების დღისთვის უნდა შეადგენდეს არანაკლებ 5 წელს და იჯარის ხელშეკრულება რეგისტრირებული უნდა იყოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“) (წარმოების, ფერმების და თევზის მეურნეობების მოწყობის შემთხვევაში);
- ✓ უძრავ ქონებაზე საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკების/მიკროსაფინანსო ორგანიზაციების იპოთეკის შემთხვევაში სესხის გამცემი სუბიექტის მიერ გაცემული ცნობა ბოლო ერთი წლის განმავლობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შესახებ; (არ არის სავალდებულო იმ განაცხადებზე, რომელიც არ არის დაკავშირებული წარმოებასთან);
- ✓ საბანკო რეკვიზიტები;
- ✓ ინვოისი ან/და ხელშეკრულება საქონლის/მომსახურების შესყიდვის შესახებ;
- ✓ სსიპ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა თანადაფინანსების სახსრებით დასაფინანსებელი საქონლის/მომსახურების/სამუშაოების საბაზრო ფასებთან შესაბამისობის შესახებ;
- ✓ ცნობა მოვალეთა რეესტრიდან;
- ✓ სხვა დოკუმენტაცია ცენტრი-ს მოთხოვნის შემთხვევაში;
- ✓ სამშენებლო სამუშაოების შემთხვევაში, დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:
 - ✓ მშენებლობის ნებართვა (მხოლოდ მიმდინარე მშენებლობაზე);
 - ✓ მშენებლობისა და სამუშაოების განხორციელების ვადაში გაწერილ ხარჯების გეგმას;
 - ✓ თევზის მეურნეობის, მეცხოველეობის/მეფრინველობის ფერმის მოწყობის შემთხვევაში შესაბამისი დარგის სპეციალისტის რეკომენდაცია, ობიექტის მოქმედ ნორმებთან და წესებთან შესაბამისობაზე.

12.3 განაცხადის შეტანა ხდება ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრში 2020 წლის 01 თებერვლიდან 2020 წლის 31 მარტის ჩათვლით.

13. განაცხადის ტექნიკური ჯგუფის მიერ შემოწმების ეტაპი

- 13.1** პოტენციური ბენეფიციარის მიერ განაცხადის შემოტანისთანავე ცენტრის წარმომადგენელი უზრუნველყოფს განაცხადისა და თანდართული დოკუმენტების ატვირთვას საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში eDocument;
- 13.2** ტექნიკური ჯგუფი 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს განაცხადის შესაბამისობის დადგენას წინამდებარე წესით გათვალისწინებულ პირობებთან;
- 13.3** თუ განაცხადი არ შეესაბამება წინამდებარე წესით გათვალისწინებულ წინაპირობებს ტექნიკური ჯგუფი ადგენს ხარვეზს და განუსაზღვრავს პოტენციურ ბენეფიციარს ხარვეზის აღმოფხვრის ვადას;
- 13.4** ხარვეზის აღმოფხვრის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 (ათი) სამუშაო დღეს;
- 13.5** თუ პოტენციური ბენეფიციარის მიერ ტექნიკური ჯგუფის დადგენილი ხარვეზი არ აღმოფხვრა დადგენილ ვადაში განაცხადი დარჩება განუხილველი.
- 13.6 დაზუსტებას არ ექვემდებარება შემდეგი მონაცემები:**
 - ✓ განაცხადი;
 - ✓ საბაზრო ფასებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა;
 - ✓ სამშენებლო სამუშაოების შემთხვევაში მშენებლობის ნებართვა.

სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა

- ✓ თევზის მეურნეობის, მეცხოველეობის/მეფრინველობის ფერმის მოწყობის შემთხვევაში შესაბამისი დარგის სპეციალისტის რეკომენდაცია, ობიექტის მოქმედ ნორმებთან და წესებთან შესაბამისობაზე.

14. განაცხადის განხილვა სამინისტროში

- 14.1 ცენტრის ტექნიკური ჯგუფის მიერ განაცხადის ტექნიკური შესაბამისობის შემოწმების შემდეგ გადაიგზავნება სამინისტროში;
- 14.2 სამინისტრო გაცემს რეკომენდაციას პოტენციური ბენეფიციარების მიერ წარმოდგენილ განაცხადზე;
- 14.3 სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციები პოტენციური ბენეფიციარების განაცხადებთან ერთად გადაეცემა კომისიას შეფასებისთვის.

15. განაცხადის განხილვა კომისიის მიერ და ქულების მინიჭება.

- 15.1 კომისიის მიერ განაცხადის განხილვის პროცედურულ წესს ამტკიცებს ცენტრის დირექტორი;
- 15.2 განაცხადის მიღების ვადის ამოწურვიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში კომისია შეისწავლის წარდგენილ განაცხადებს და ინდივიდუალურად ანიჭებს ქულებს;
- 15.3 განაცხადის სპეციფიკიდან გამომდინარე კომისია განიხილავს ბენეფიციარის მიერ ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენამდე წინასწარ დაფინანსების გაცემის საკითხს;
- 15.4 კომისიის წევრები ცენტრის დირექტორს წარუდგენენ კომისიის შემაჯამებელ ოქმს და შეფასებებს.

16. რისკების შეფასება ტექნიკური ჯგუფის მიერ

- 16.1 კომისიის მიერ შეფასებებისა და შემაჯამებელი ოქმის წარმოდგენის შემდეგ ცენტრის ტექნიკური ჯგუფი უზრუნველყოფს რისკების შეფასებას;
- 16.2 შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას რა ტიპის უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა იქნას გამოყენებული;
- 16.3 ტექნიკური ჯგუფი - ხელმძღვანელობს კომისიის გადაწყვეტილებით და ბენეფიციარის განაცხადით;
- 16.4 ტექნიკური ჯგუფის რისკების შეფასების შემდეგ იგზავნება შეტყობინებები შერჩეულ ბენეფიციარებთან ხელშეკრულების მოწვევის თაობაზე და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი.

17. ხელშეკრულების გაფორმება

- 17.1 ხელშეკრულების გაფორმებისთვის ბენეფიციარი იურიდიული პირი ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

- ✓ განახლებული ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“ საგადასახადო დავალიანების არარსებობის შესახებ;
- ✓ ცნობა მოვალეთა რეესტრიდან;
- ✓ უძრავი ნივთის შემთხვევაში განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ✓ განახლებული ამონაწერი მეწარმეთა (არასამეწარმეო) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- ✓ სხვა დოკუმენტაცია ცენტრის მოთხოვნის შესაბამისად.

- 17.2 ხელშეკრულების გაფორმებისთვის ბენეფიციარი ფიზიკური პირი ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

- ✓ განახლებული ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“ საგადასახადო დავალიანების არარსებობის შესახებ;
- ✓ ცნობა მოვალეთა რეესტრიდან;
- ✓ უძრავი ნივთის შემთხვევაში განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ✓ მეწარმეთა შესახებ კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ✓ სხვა დოკუმენტაცია ცენტრის მოთხოვნის შესაბამისად;

- 17.3** ტექნიკური ჯგუფი ამოწმებს სრულყოფილად არის თუ არა ხელშეკრულების გასაფორმებლად წარდგენილი დოკუმენტაცია წარმოდგენილი. იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტაცია არ არის სრულყოფილი ელ. ფოსტის ან/და ფოსტის მეშვეობით აცნობებს ბენეფიციარს ხარვეზის შესახებ;
- 17.4** იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულყოფილია ცენტრის ადმინისტრაციული სამსახური ამზადებს ხელშეკრულების პროექტს და ხელშეკრულების გასაფორმებლად აუცილებელ დოკუმენტაციას;
- 17.5** ადმინისტრაციული სამსახური ამოწმებს ხელშეკრულების პროექტის შესაბამისობას პროგრამის პირობებთან დასაქართველოს კანონმდებლობასთან.

18. ბენეფიციარის მიერ თანამონაწილეობის თანხის გადახდა

- 18.1** წინამდებარე წესით და ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად ბენეფიციარი ვალდებულია უზურუნველყოს თანამონაწილეობის თანხის გახარჯვა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა ცენტრში.
- 18.2 ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტებია:**
- ✓ ინვოისი/ზედნაღები;
 - ✓ ხელშეკრულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
 - ✓ გადახდის ქვითარი;
 - ✓ მშენებლობის შემთხვევაში ბენეფიციარი ვალდებულია წარმოადგინოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან/და შესაბამის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აკრედიტაციის/სერთიფიკატის მქონე პირის მიერ მომზადებული დადებითი საქსპერტო დასკვნა სრულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ნაწილზე;

19. ცენტრის მიერ დაფინანსების გაცემა.

- 19.1** წინამდებარე წესით განსაზღვრული 18.1 პუნქტის წინაპირობების არსებობის შემთხვევაში ცენტრის მიერ დაფინანსების გაცემა ხდება ტრანშებად (პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია დაფინანსება გაიცეს ერთდროულად), ხელშეკრულებით დაგეგმილი გრაფიკის მიხედვით;
- 19.2** დაფინანსების/ტრანშის მისაღებად ბენეფიციარი მიმართავს - ცენტრს ტრანშის მოთხოვნის განაცხადით, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს ტრანშის გაცემის წინაპირობის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- 19.3** დაფინანსების გაცემა ხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინაპირობების შესაბამისად;
- 19.4** ცენტრის შესაბამისი სამსახურის სპეციალისტი ბენეფიციარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების უზურუნველყოფის მიზნით, ახდენს პროექტის ფარგლებში შექმნილი ძირითადი საშუალებების იპოთეკა/გირავნობით დატვირთვას, ტექნიკური ჯგუფის მიერ რისკების შეფასების საფუძველზე (აღნიშნულ ხარჯს გაიღებს ბენეფიციარი);
- 19.5** შესაძლებელია უზურუნველყოფა განხორციელდეს ნებისმიერი სანივთო/ვალდებულებითი უზურუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით.

20. მონიტორინგი

- 20.1** პროგრამის მიმდინარეობის პერიოდში ცენტრი განახორციელებს მონიტორინგს პერიოდულად სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე;
- 20.2** ცენტრი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, განახორციელოს თანადაფინანსების ხარჯვის მიზნობრიობისა და პროგრამის მიმდინარეობის მონიტორინგი, პირადად ან დამოუკიდებელი სპეციალისტის/ექსპერტის/აუდიტორის მეშვეობით, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება ბენეფიციარის საქმიანობის ადგილზე შემოწმებითა და დოკუმენტური მონიტორინგით;
- 20.3** ხელშეკრულების შესრულების შემდეგ ცენტრი განახორციელებს მონიტორინგს ორი წლის განმავლობაში ყოველ კვარტალურად.

21. ბენეფიციარის ვალდებულებები

- 21.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯვის დადასტურების მიზნით ვალდებულია წარმოადგინოს ინვოისი/ზედნადები; ხელშეკრულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში); გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- 21.2 ბენეფიციარი ვალდებულია საწარმოს მოწყობის შემთხვევაში, შენობებისა და ინვენტარის მშენებლობა და შექმნა განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტი;
- 21.3 მშენებლობის შემთხვევაში ბენეფიციარი ვალდებულია წარმოადგინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯვის დასადასტურებლად სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან/და შესაბამის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აკრედიტაციის/სერთიფიკატის მქონე პირის მიერ მომზადებული დადებითი საექსპერტო დასკვნა სრულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ნაწილზე;
- 21.4 პროექტზე, რომელიც დაკავშირებულია წარმოებასთან სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება, დადასტუროს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემაჯავლი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნით;
- 21.5 უზრუნველყოს პროგრამის ფარგლებში მიღებული თანადაფინანსების თანხების აღრიცხვა და ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოება საქართველოს კანონმდებლობის და პროგრამის პირობების შესაბამისად. უზრუნველყოს ცენტრის მიერ დოკუმენტური მონიტორინგის განხორციელებისთვის საჭირო პირობების შექმნა;
- 21.6 ცენტრს მონიტორინგის მიზნით, მიაწოდოს უტყუარი, დროული და სრული ინფორმაცია განხორციელებული პროექტის შესახებ (მათ შორის დასაქმებული პირების და საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლების და გაწეული ხარჯების შესახებ);
- 21.7 მისცეს თანხმობა და შესაძლებლობა ცენტრს/სამინისტროს მოამზადოს და გამოაქვეყნოს წერილობით ისტორიები, სურათები, ვიდეო მასალა დაფინანსებული პროექტის და ბენეფიციარის გამოცდილების შესახებ;
- 21.8 არ შეაფერხოს ცენტრის პროგრამის ან მათ მიერ განსაზღვრული მესამე პირის მიერ მონიტორინგისა და შეფასების მიზნით ჩასატარებელი ღონისძიებები, პროექტის დასრულებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში;
- 21.9 პროგრამის ფარგლებში, ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, ცენტრის სასარგებლოდ იპოთეკა/გირავნობით დატვირთოს ცენტრის მიერ განსაზღვრული ძირითადი საშუალებები;
- 21.10 პროექტი დასრულებულად ჩაითვლება ცენტრსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბენეფიციარის ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისთანავე.